



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

მარტივის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნამიკოლაოს ტერიტორიაზე ტორფის მოპოვების პროექტი სკრინინგის განცხადებაზე

18.04.2021

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

2021 წლის 7 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე [გამოქვეყნდა](#) „სკრინინგის განცხადება - მარტივის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნამიკოლაოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) მოპოვების პროექტი“.

მიგვაჩნია, რომ პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგი გარემოებების გამო:

1. კომენტარებისათვის გამოქვეყნებული წიაღის ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია.

1.1. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნებულ განცხადებაში და ყველა თანდართულ დოკუმენტში არასწორად არის მითითებული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ საუბარია მარტივის მუნიციპალიტეტის სოფ. ნამიკოლაოზე. განცხადებაზე თანდართული შეიფ ფაილები უსარგებლოა სპეციალური პროგრამის გამოყენების შესაძლებლობის გარეშე, ასევე, არაფრის მომცემა თანდართული რუკა, რომელზეც არცერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ არის მითითებული.

1.2. არ არის მოცემული გადაწყვეტილების მიღებისათვის მთავარი მახასიათებლის - შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში მხოლოდ აღნიშნულია: „საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც **გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები**. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ **არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე**“.

ვინაიდან, წიაღის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ამ ეტაპზე მათთვის უცნობია ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც სწორედ ამ ტიპის ინფორმაციის მოგროვებას, რისკების განსაზღვრას/შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას ემსახურება.

2. სკრინინგის განცხადებას ერთვის გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომელიც ასევე არ მოიცავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას. გეოსაინფორმაციო პაკეტით წარმოდგენილია „დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან“ „მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან/სანაპირო ზოლიდან“; ხოლო უახლოესი

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

დასახლებული პუნქტის გრაფაში მხოლოდ აღნიშნულია, რომ ეს არის „სოფ. ნამიქოლაგო“. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის არეალიდან სახლების და/ან სხვა ტიპის ნაგებობების სიახლოვის და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების სიახლოვის შესახებ.

3. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, „სალიცენზიო ობიექტიდან 15მ-ში ფიქსირდება არის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გრუნტის გზა, ამიტომ წიაღისეულის მოპოვებამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან“. გაუგებარია საქმიანობის ზემოქმედების შესახებ ცოდნის გარეშე როგორ უნდა შეთანხმდეს საკითხი რომელიმე უწყებასთან.

4. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, „წიაღისარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან“. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქმიანობის ზემოქმედების შესახებ ცოდნის გარეშე „შეთანხმება“ მხოლოდ ფორმალურად ხასიათს ატარებს და შედეგად, ხშირად, ლიცენზიის გაცემის შემდეგ საკითხი მოსახლეობასა და ლიცენზიანტს შორის დაპირისპირების საგანი ხდება. საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, კი სწორედ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი უზრუნველყოფს.

5. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია თითქმის 40 წლის წინ - 1982 წელს მომზადებული გეოლოგიური ანგარი - რაც ადასტურებს საკითხის სრულფასოვნად შესწავლის საჭიროებას.

6. არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი, რომელის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს. კერძოდ არ არის წარმოდგენილი:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

- ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
- ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

- ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;

გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:

- გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

7. ამ საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია გამოკვლეული იქნას ტორფიანი ჭაობების ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელობის საკითხები. კერძოდ, გამოკვლეული უნდა იყოს რა ზეგავლენას მოხდეს საქმიანობა ისეთ ეკოსისტემურ სერვისებზე როგორცაა წლის გასუფთავება (როგორც ცნობილია ჭაობი არის წყლის განმუხტვის ეკოსისტემური სერვისის მომწოდებელი) და ნახშირორჟანგის შთანთქმა (ასეთი ტიპის ჭაობები არის CO₂-ის დამჭერი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოსისტემა). გამოკვლეული უნდა იქნას ტერიტორია იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გავრცელების თვალსაზრისით, კერძოდ: საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცულ მცენარეთა სახეობების გავრცელების ადგილს, ბერნის კონვენციით დაცულის სახეობებისა და ჰაბიტატების ადგილს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას ამ ადგილის მნიშვნელობა გადამფრენი ფრინველებისათვის, რომელთაც იცავს

რამსარის კონვენცია, ბონის კონვენცია და მისი შესაბამისი დანართი და ბერნის კონვენცია - როგორც ბუღობის, ისე განსაკუთრებით შემოდგომისა და გაზაფხულის მიგრაციის პერიოდში.

მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, გამოიწვევს თუ არა საქმიანობა წყლის რეჟიმის შეცვლას იმდენად, რომ გავლენა იქონიოს მდინარე ტეხურას ბუნებრივ რეჟიმზე და დაბინძურების დონეზე; ექნება თუ არა საქმიანობას რაიმე გავლენა მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებულ ბუნების ძეგლებზე (მათ შორის ნედლეულის ტრანსპორტირების დროს).